

საშინაო დავალებების რაგვარობა და მიზანმიმართულება სწავლების საბაზო
საფეხურზე

მერი ნებიერიძე, გიტა თვალაბეიშვილი, ნინო ხმალაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება (სკოლის მიმართულება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდრულაძე - ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშროში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესებისშესაბამისად“.

მერი ნებიერიძე -----, 06.07.2015

გიტა თვალაბეიშვილი, -----,06.07.2015

ნინო ხმალაძე, -----,06.07.2015

სარჩევი	iii
გრაფიკების ჩამონათვალი	iv

სარჩევი

აბსტრაქტი	6
შესავალი	8
ლიტერატურის მიმოხილვა	
1.1. საშინაო დავალების არსი.....	9
1.2. საშინაო დავალების ტიპები.....	15
პრობლემის აღწერა.....	26
კვლევის მიზანი და დანიშნულება	27
კვლევის ეტაპები	28
კვლევის მეთოდოლოგია	
5.1 პრაქტიკის კვლევა.....	30
5.2 კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები.....	31
5.3 შერჩევა	32
5.4 კვლევის შეზღუდვები	32
5.5 ვალიდობა	32
5.6 სანდობა	33
5.7 კვლევის ეთიკა	33

კვლევის პროცესი

6.1 პრობლემის იდენტიფიცირება	34
6.2 პრობლემის დიაგნოსტიკა და მონაცემთა ანალიზი	37
6.3 მოსწავლეთა ანკეტირება, გამოკითხვა და შედეგები	38
6.4 გაკვეთილზე დაკვირვება	44

ინტერვენცია

7.1 ინტერვენციის დაგეგმვის წინა პერიოდი	46
7.2 ინტერვენციის დაგეგმვა და განხორციელება	47

კვლევის შედეგები	49
კვლევის მიგნებები	49
დასკვნა	50
რეკომენდაციები	51
ბიბლიოგრაფია.....	52
დანართები.....	54

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1: დამოკიდებულება საშინაო დავალებების მიმართ.....	39
გრაფიკი 2: საშინაო დავალების შესრულების აუცილებლობა.....	40
გრაფიკი 3: შემოქმედებით დავალებათა საჭიროების წილი.....	41

გრაფიკი 4: დავალების შესრულებაში დახარჯული დროის საჭიროება.....	41
გრაფიკი 5: დავალების შესრულებაში დახარჯული დრო.....	42
გრაფიკი 6: დავალებათა მრავალფეროვნება.....	42
გრაფიკი 7: შემაჯამებელ დავალებათა ტიპი.....	43
გრაფიკი 8: დავალებათა უკუკავშირი.....	43

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს საშინაო დავალებების მოცულობისა და ეფექტიანობის კვლევას საბაზო საფეხურის მე-9 კლასში. კერძოდ: რა რაოდენობის საშინაო დავალება აქვთ ამ კლასის მოსწავლეებს თითოეულ საგანში, რა დროს უთმობენ მის შესრულებას და რამდენად ეფექტურია ეს მათი განვითარებისა და შესაბამისი უნარების განვითარებისათვის. კვლევა მოიცავდა ორ ეტაპს: 1. დაკვირვება და სტატისტიკური მონაცემების შეკრება; 2. მონაცემების ანალიზი და დასკვნების გამოტანა; 3. ინტერვენცია. მეორე ეტაპს კლასის მასწავლებელთან კონსულტაცია და განხილვა უძღვოდა. ხოლო ინტერვენცია ეფუძნებოდა კვლევის შედეგებისა და გამოტანილი დასკვნებს.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები: უშუალო დაკვირვება, ანკეტირება, ინტერვიუ.

კვლევამ აჩვენა, რომ: ამ საფეხურის მოსწავლეების საშინაო დავალება საკმაოდ ვრცელია. ის ბავშვის დროის სრულ 80% საჭიროებს და საკმაოდ დატვირთულია განმამტკიცებელი სავარჯიშოებით. ძალიან ხშირად ეს არის დემოტივატორი და იწვევს მოსწავლეებში აგრესიაც კი დავალებების შესრულების მიმართ. დავალებების აბსოლუტური უმრავლესობა ეყრდნობა სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯიშოებს. იშვიათი გამონაკლისია მასწავლებლის ჩარევა ამ კუთხით და უფრო შემოქმედებითი მიდგომა სწავლების პროცესისადმი.

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი გახლავთ საშინაო დავალებების ეფექტიანობის განსაზღვრა და მათი როლი მოსწავლეთა შედეგების გაზომვაში, რომელიც უნდა უახლოვდებოდეს ესგ-ით განსაზღვრულ სტანდარტს.

ამ კუთხით რამდენიმე კვლევაა ჩატარებული, რომლებიც აჩვენებს, რა კავშირია საშინაო დავალებებსა და მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას შორის. ჩვენი კვლევა, იმდენად, რამდენადაც პრაქტიკული კვლევაა, სასარგებლო ინფორმაციის შემცველია ზოგადსაგანმანათლებლო სფეროთი დაინტერესებული ადამიანებისათვის,

მასწავლებლებისა თუ მოსწავლეთა მშობლებისათვის. შედეგები კი შესაძლოა პრაქტიკაში ძალიან ეფექტურად გამოიყენონ მასწავლებლებმა.

კვლევამ გვაჩვენა, რომ მოსწავლეებზე დადებითად მოქმედებს, მათ მოტივაციას საგრძნობლად ზრდის შემოქმედებითი საშინაო დავალებები. ისინი ინტერესით აკეთებენ მათ, თუნდაც საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მოსწავლეთა სერიოზული დემატივატორი აღმოჩნდა დავალებები, რომელიც გაგებული მასალის განმტკიცებას ისახავს მიზნად, მოცულობითძალიან ვრცელია და ფაქტობრივად, მექანიკურ გამოთვლებსა და მექანიკურ პასუხებს გულისხმობს. საინტერესოა, რომ თითქმის ერთნაირი მიდგომა აქვთ საშინაო დავალებების მიმართ სხვადასხვა აკადემიური მოსწარების, სხვადასხვა ინტერესებისა თუ უნარების მოსწავლეებს. ეფექტიც საშინაო დავალებისა თითქმის ერთნაირია.

საკვანძო სიტყვები: სკოლა, საშინაო დავალება, მასწავლებელი.